ქალაქ თბილისის საკრებულოს

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №48

08.09.2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
6. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032024780-03; 03.09.2020);

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას

ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03202515-03; 07.09.2020)**;

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03202515-03; 07.09.2020);**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

მომხსენებლები:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032024780-03; 03.09.2020):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში და ამავე დადგენილებით დამტკიცებულ წესში.

კერძოდ, დადგენილების მე-3 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის მე-6 და მე-7 პუნქტები:

„6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია მოქმედი ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობაში ან მიწის ნაკვეთზე დაადგინოს მხოლოდ ზონალური პარკირების ადგილები შემდგომში მისი პარკირების ოპერატორის მიერ მოწყობის მიზნით. ამ შემთხვევაში აღნიშნულ შენობა-ნაგებობაზე ან მიწის ნაკვეთზე დადგენილ ზონალური პარკირების ადგილზე ვრცელდება ამ დადგენილებით დამტკიცებულის წესის შესაბამისად დადგენილი პარკირების რეგულირების წესი (გარდა ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტისა).

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებზე სატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების დარღვევისათვის შესაბამისი ჯარიმა და საურავი გადაიხდება ბიუჯეტში“.

ამასთან, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის მე-3 მუხლს 3^3 პუნქტის შემდეგ ემატება 3^4 პუნქტი, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით და მე-7 მუხლს მე-3 პუნქტის შემდეგ ემატება 3^1 და 3^2 პუნქტები.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარე შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მიეცემა საშუალება განცხადებით მიმართოს დედაქალაქის მთავრობას და შესთავაზოს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე ან მიწის ნაკვეთზე მოეწყოს ზონალური პარკირების ადგილები

და გავრცელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად დადგენილი პარკირების რეგულირების წესი (გარდა ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტისა).

დედაქალაქის მთავრობა თავის მხრივ უფლებამოსილია მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია გადაწყვეტილების მისაღებად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პარკირების ოპერატორსა და ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებას ითანხმებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, რომელშიც, გათვალისწინებული იქნება ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შესაბამისი საზღაური პარკირების საფასურიდან.

აღნიშნული ცვლილება ხელსაყრელი იქნება კერძო მესაკუთრეებისთვის, ვინაიდან მესაკუთრეები სრულფასოვნად ვერ იყენებენ აღნიშნული სახის ტერიტორიებს. ძირითად შემთხვევაში ამ ტერიტორიებზე შეუძლებელია მშენებლობების წარმოებაც. ცვლილების შედეგად კი ტერიტორია დაიტვირთება ზონალურ-საათობრივი პარკირების ფუნქციით, მესაკუთრეები კი შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ.

თ.ისაკაძე - რა ფორმით განხორციელდება მესაკუთრეებისთვის ღირებულების გადახდა.

ვ.აბულაძე - უძრავი ქონება შეფასდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ და შესაბამისად გაიცემა იჯარის თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ექვსმა წევრმა. მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032024780-03; 03.09.2020)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03202515-03; 07.09.2020):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში და დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„თ“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორებსა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს.

მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო“. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ თანამშრომლებს.

მე-2 მუხლს მე-4 პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5“. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განსაზღვროს სამგზავრო პლასტიკური ბარათებისა და თითოეული ბარათით მგზავრობის განხორციელების რაოდენობა.

ცვლილების შეტანა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 3 სექტემბერს წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭიროა უბნის ინსპექტორების გარდა, უფასო მგზავრობის უფლება ჰქონდეთ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებსაც. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეების ცალკეულ ნაწილს (დაახლოებით 30 მოსამსახურეს), თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება უმეტესად უწევთ მუნიციპალურ ტრანსპორტში. კერძოდ, მათი უშუალო ფუნქციაა საზოგადოებრივ ტრანსპორტში დანაშაულის/სამართალდარღვევის გამოვლენა-აღკვეთა. შესაბამისად ცვლილების

შედეგად უფასო მგზავრობის უფლებით სარგებლობის უფლება ექნებათ ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა „სოციალური მზრუნველობის სააგენტომ“ 2020 წლის 3 სექტემბერს წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც აღნიშნულია, რომ სააგენტოს თანამშრომლებს (25 უფროსი სოციალური მუშაკი, 95 სოციალური მუშაკი და 5 ფსიქოლოგი), სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უწევთ ხშირი გადაადგილება საზოგადოებრივი ტრანსპორტით - ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო). გამომდინარე აქედან, საჭიროა ამ ადამიანებს ჰქონდეთ ზემოთ ჩამოთვლილი ტრანსპორტით უფასო გადაადგილების უფლება. ცვლილების შედეგად აღნიშნული პირები ისარგებლებენ უფასო მგზავრობის უფლებით მეტროსა და ავტობუსებით (M_3 კატეგორია).

თ.ისაკაძე - რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, აღნიშნული კატეგორიის რამდენი მოქალაქე გვყავს ჯამში.

ვ.აბულაძე - აღნიშნული კატეგორიის მოქლაქეები ჯამში შეადგენს დაახლოებით ოცდაათ პირს. აღსანიშნავია, რომ დადგენილების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილი ხდება, ზემოთხსენებული კატეგორიებისათვის, განსაზღვროს სამგზავრო პლასტიკური ბარათებისა და თითოეული ბარათით მგზავრობის განხორციელების რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ექვსმა წევრმა. მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03202515-03; 07.09.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03202515-03; 07.09.2020):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დადგენილების მე-5 მუხლს ემატება „თ[1]“ ქვეპუნქტი და განისაზღვრება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული

სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებით დადგენილი შესაბამისი კატეგორიების პირების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ თანამშრომლებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ისთვის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას მოახდენს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტო“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ექვსმა წევრმა. მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03202515-03; 07.09.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე